კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2025 - 2031

სარჩევი

1. შესავალი.....4

1.1 კავშირი 2022-2030 წლებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთიან ეროვნულ სტრატეგიასთან და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ჩარჩო დოკუმენტებთან.....4

2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვა 6

3. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია 6

4. მისიის პრიორიტეტები.....6

4.1 თანამედროვე სასწავლო გარემო.....6

4.2 ინოვაციური მეთოდები 6

4.3 ინტერნაციონალიზაცია 7

4.4 მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება 7

4.5 წვლილის შეტანა მდგრად განვითარებაში.....7

5. სტრატეგია: შვიდწლიანი გეგმის პრიორიტეტული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები.....8

პრიორიტეტული მიმართულება 1. თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნა და სწავლა-სწავლების ხარისხის უწყვეტი განვითარება.....9

სტრატეგიული მიზანი 1.1 პროგრამებში თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების ინტეგრირება და უნივერსიტეტის პოზიციონირება, როგორც ტრანსფორმაციული განათლების მიმცემი ინსტიტუცია 9

სტრატეგიული მიზანი 1.2 პროგრამების შინაარსისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაძლიერება ინტერნაციონალიზაციის გზით 9

სტრატეგიული მიზანი 1.3 მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება სასწავლო პროცესში 10

სტრატეგიული მიზანი 1.4 სტუდენტებისათვის სწავლის პროცესში მხარდამჭერი სერვისების ხარისხის ყოველწლიური გაუმჯობესება..... 10

პრიორიტეტული მიმართულება 2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება 10

სტრატეგიული მიზანი 2.1 გამორჩეული კვლევითი სივრცის შექმნა ბრწყინვალე კვლევების მდგრადი განვითარებისთვის 10

სტრატეგიული მიზანი 2.2 ინტერდისციპლინური და ინტერსექტორული (სამთავრობო, ბიზნეს და აკადემიურ სექტორებს შორის) კვლევითი პარტნიორობის განვითარება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან 11

სტრატეგიული მიზანი 2.3 სადოქტორო კვლევების მხარდაჭერა და განვითარება უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებთან მიმართებით 11

სტრატეგიული მიზანი 2.4 წვლილის შეტანა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესში კვლევისა და ინოვაციის კულტურის განვითარების, ახალი ცოდნის გავრცელებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გაღრმავების საფუძველზე..... 11

პრიორიტეტული მიმართულება 3. მდგრადი განვითარების მიზნების მხარდაჭერა უნივერსიტეტის "მესამე მისიის" ფარგლებში..... 12

სტრატეგიული მიზანი 3.1 უნივერსიტეტში დაგროვილი ცოდნის გამოყენებით საზოგადოების, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა რეალური გამოწვევების გადასაჭრელად..... 12

პრიორიტეტული მიმართულება 4. ინსტიტუციური განვითარება უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის სამი ძირითადი საყრდენი მიმართულების ეფექტურად განხორციელებისათვის..... 12

სტრატეგიული მიზანი 4.1 ხარისხის მართვაში განვითარებაზე ორიენტირებული მიმართულების გაძლიერება..... 12

სტრატეგიული მიზანი 4.2 ადამიანური რესურსების განვითარება..... 13

სტრატეგიული მიზანი 4.3 მხარდაჭერის სერვისების გაძლიერება სტუდენტებისათვის 13

სტრატეგიული მიზანი 4.4 კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარება..... 13

სტრატეგიული მიზანი 4.5 სასწავლო და სამუშაო გარემოს ეტაპობრივი განახლება და მოდერნიზაცია..... 14

1. შესავალი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი თავისი მისიისა და ხედვის შესაბამისად სახავს სტრატეგიულ გეგმას, რომელიც ემყარება უნივერსიტეტის საქმიანობის 29 წლიან გამოცდილებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიას 2022-2030 წლებისათვის, მდგრადი განვითარების მიზნებს, ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ძირითად სარეკომენდაციო დოკუმენტებს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და წამყვანი ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილებას. დოკუმენტი, ასევე, ეფუძნება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებისა და კვლევის ანალიზს. სტრატეგიული განვითარების გეგმა ემყარება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებს, გარე ექსპერტთა დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც გაკეთებულია მიმდინარე ავტორიზაციის საანგარიშო პერიოდში. ამასთან, მას საფუძვლად დაედო დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ 2023 წლის შემოდგომაზე ჩატარებული გარე შეფასება, 2023 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის ჯგუფის შემაჯამებელი ანგარიში, უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიისა და მექანიზმების შესახებ ფოკუსირებული დისკუსიები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან; ასევე, გამოყენებული იქნა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შიდა კვლევები და გამოკითხვის შედეგები.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვისა და განახლების მიზნით 2022 წლის გაზაფხულზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი უნივერსიტეტის ექვსი ხელმძღვანელი პირის ჩართულობით, რომელმაც დაიწყო მუშაობა უნივერსიტეტის ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრაზე 2025-2031 წლებისთვის. სამუშაო ჯგუფის 1 წლიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად იგი ჩამოყალიბდა მოცემული სახით. ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებას უნივერსიტეტი მოიაზრებს 2024 წლის დეკემბერში, უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შესაძლო რჩევების გათვალისწინებით.

1.1 კავშირი 2022-2030 წლებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთიან ეროვნულ სტრატეგიასთან და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ჩარჩო დოკუმენტებთან

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს 2022-2030 წლებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სამ სექტორულ პრიორიტეტს: I. ხარისხი და შესაბამისობა; II. თანასწორობა, ინკლუზია და მრავალფეროვნება; III. მართვა, დაფინანსება და ანგარიშვალდებულება, სადაც

ხაზგასმულია განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის მართვის შიდა და გარე ინსტრუმენტების მნიშვნელობა ინსტიტუციურ განვითარებაში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ოპტიმიზაცია და კონსოლიდაცია, რომელიც შექმნის ინდივიდის, ეკონომიკისა და საზოგადოების საჭიროებათა დაკმაყოფილების უკეთეს შესაძლებლობებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2022-2030 წლების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში განათლების, მეცნიერების, კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სექტორებში მმართველობის, ანგარიშვალდებულებისა და დაფინანსების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე საუბრისას ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „უმაღლესი განათლების, კვლევისა და ინოვაციის სისტემისთვის მნიშვნელოვანია „მესამე მისიის“ კონცეფციის პრაქტიკული დანერგვა საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის კულტურაში. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტრატეგიული განვითარების ახალი ციკლის ფარგლებში მიზნად ისახავს შრომის ბაზართან, ინდუსტრიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის ახალ საფეხურზე გადასვლას, რაც გამოიხატება კვლევისა და ინოვაციის ურთიერთკავშირის გაძლიერებაში, ასევე, უნივერსიტეტსა და ინდუსტრიას შორის თანამშრომლობისა და შესაბამისად, უნივერსიტეტის ,,მესამე მისიის“ გაძლიერებაში.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ასევე ასახავს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩარჩო დოკუმენტებს, რომლებშიც ხაზგასმულია მდგრად განვითარებაზე და მომავალზე ორიენტირებული განათლების, კვლევისა და ინოვაციების სისტემების განვითარების მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის რომის მინისტერიალის კომუნიკე ხაზს უსვამს უმაღლეს განათლებაში ინოვაციებისა და ინკლუზიურობის მნიშვნელობას და აღნიშნავს უნივერსიტეტების როლს მდგრად განვითარებაში. კომუნიკეში ნათქვამია, რომ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ უდიდესი წვლილი შეიტანონ მდგრადობის, გარემოს დაცვისა და სხვა არსებითად მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევაში. მათ უნდა მოამზადონ სტუდენტები - აქციონ აქტიურ, კრიტიკულად განწყობილ და პასუხისმგებელ მოქალაქეებად და მხარი დაუჭირონ თითოეულს სოციალური როლის შესრულებაში. უმაღლესი განათლება იქნება მთავარი მოქმედი აქტორი 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) თანხვედრის მიღწევაში“. შესაბამისად, მდგრადი განვითარებისათვის ადგილობრივი საზოგადოებისა და ეკოსისტემის განვითარებაში წვლილის შეტანა გათვალისწინებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებით.

2. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის ხელშემწყობი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუცია, რომელიც ავითარებს ქართულ და მსოფლიო კულტურის ფასეულობებს თანამედროვე ცოდნაზე დაყრდნობით.

3. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქმნის თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერნაციონალიზაციის გზითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობების აღზრდას, რომელთაც შეუძლიათ წვლილის შეტანა მდგრადი განვითარების გამოწვევების დაძლევაში.

4. მისიის პრიორიტეტები

4.1 თანამედროვე სასწავლო გარემო

თანამედროვე სასწავლო გარემო აერთიანებს სასწავლო თანამედროვე მეთოდებს - სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომებისა და ციფრული ინსტრუმენტების ინტეგრირებას და თანამშრომლობითი (ჯგუფური მუშაობისათვის) სასწავლო სივრცეების მოწყობას. სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების ინტეგრირება მისიაში ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მისწრაფებას - შეინარჩუნოს მოწინავე პოზიცია და აღჭურვოს სტუდენტები დღევანდელ სწრაფად განვითარებად სამყაროში საჭირო უნარებით.

4.2 ინოვაციური მეთოდები

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სწავლა-სწავლების ინოვაციურ მეთოდებს ბოლონიის კომუნიკეებზე დაყრდნობით მიიჩნევს როგორც ტრადიციული მიდგომებისაგან განსხვავებულ სასწავლო მეთოდებს და გულისხმობს სტუდენტთა აღჭურვას პროგრესული მომავლის უნარებით (future-proof skills), როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ციფრული და მედია წიგნიერება, ადაპტირების უნარი და სტუდენტთა მომზადებას კონკურენტული დასაქმების ბაზრისათვის. სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდები, ასევე, გულისხმობს სწავლებაში დისციპლინათშორისი ხედვების ინტეგრირებას კომპლექსური გამოწვევების დასაძლევად. სწავლებას საზოგადოებაში ჩართულობით (service learning) და სოციუმში მიმდინარე აქტუალურ გამოწვევებზე დაფუძნებულ განათლებას (challenge-based education). ასევე, ინოვაციურ მეთოდად მოიაზრება მდგრადი განვითარების საკითხების სწავლა-სწავლებაში ინტეგრირება, რაც პირდაპირ კავშირშია

კურსდამთავრებულებში დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებასთან და მათ კონკურენტუნარიანობასთან ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

უნივერსიტეტი აგრძელებს თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, რომლებიც შესაბამისობაშია დარგის განვითარების მიმდინარე ტენდენციებთან ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, ზრუნავს მატერიალური და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ონლაინ სწავლა-სწავლებისა და თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად, მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის სტრუქტურირებული პროფესიული განვითარების პროგრამებს, ახდენს სწავლების ინოვაციური პრაქტიკების წახალისებას და აღიარებას, ახდენს ფაკულტეტებზე ხარისხისა და ინოვაციების ჯგუფების ხელშეწყობას, რომლებიც აკადემიურ პერსონალთან ერთად ზრუნავენ ინოვაციური სწავლა-სწავლების პრაქტიკის განვითარებაზე.

4.3 ინტერნაციონალიზაცია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას და საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებას სწავლა-სწავლების, კვლევისა და უნივერსიტეტის მესამე მისიის აქტივობების ფარგლებში, ასევე ორგანიზაციული მართვისა და პერსონალის პროფესიული განვითარების საქმეში.

4.4 მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება

უნივერსიტეტი ხელს უწყობს მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების განვითარებას, რომელშიც დაფასებულია თითოეული ადამიანის უნიკალურობა, წახალისებულია ინდივიდებს შორის ურთიერთპატივისცემა და აღიარებულია თანასწორობა. უნივერსიტეტი აქტიურად ცდილობს ინკლუზიური გარემოს გაძლიერებას, სადაც სტუდენტები თავს გრძნობენ დაფასებულად და საუნივერსიტეტო საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილად, რაც აუცილებელია უნივერსიტეტში დემოკრატიული გარემოს ჩამოყალიბება-გაძლიერებისათვის. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქმნის პლატფორმებს სტუდენტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის ღია დიალოგისა და ხარისხის განვითარებისათვის. უნივერსიტეტი სტუდენტებს, ასევე, სთავაზობს დამხმარე სერვისებს და მხარს უჭერს მათ ჩართულობას სხვადასხვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში.

4.5 წვლილის შეტანა მდგრად განვითარებაში

მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი თავისი სწავლა-სწავლებისა და კვლევითი პროფილიდან გამომდინარე, ,,მესამე მისიის“ სტრუქტურირებული გზით განხორციელებისათვის პრიორიტეტს ანიჭებს მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებს:

- **SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;**
- **SDG 4 - ხარისხიანი განათლება;**
- **SDG 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება;**
- **SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები.**

მდგრადი განვითარების ამ პრიორიტეტული მიზნებისა და უნივერსიტეტების ,,მესამე მისიის" გაძლიერებისა და ხელშეწყობის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხედვის შესაბამისად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგი სახის აქტივობებს:

- ზრუნავს, რომ ფართო საზოგადოებას, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს გაუზიაროს უნივერსიტეტის სივრცეში დაგროვილი ცოდნა და პრაქტიკა. ამით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ზრუნავს საზოგადოება გახდეს უფრო დემოკრატიული, იცოდეს მან საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოსთან მიმართებაში;
- ახორციელებს მრავალფეროვან სასერტიფიკატო და უწყვეტი განათლების კურსებს, რითაც, ასევე, ზრუნავს სიცოცხლის განმავლობაში სწავლასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე;
- ჩართულია საკანონმდებლო ბაზის/ეროვნულ დონეზე მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებაში;
- მხარს უჭერს მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებასა და ახალი ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარებას;
- ახორციელებს რეგიონული განვითარების ინიციატივებს არსებული საჭიროებების შესაბამისად.

5. სტრატეგია: შვიდწლიანი გეგმის პრიორიტეტული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტრატეგიული განვითარების გეგმით აჩვენებს, თუ როგორ აპირებს იგი მისიით გათვალისწინებული როლის განხორციელებას უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის სამი ძირითადი საყრდენი მიმართულების - სწავლა-სწავლების, კვლევისა და ,,მესამე მისიის" ფარგლებში.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა მოიცავს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

1. თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნა და სწავლა-სწავლების ხარისხის უწყვეტი განვითარება;

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება;

3. მდგრადი განვითარების მიზნების მხარდაჭერა უნივერსიტეტის ,,მესამე მისიის“ ფარგლებში;

4. ინსტიტუციური განვითარება უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის სამი ძირითადი საყრდენი მიმართულების ეფექტურად განხორციელებისათვის.

პრიორიტეტული მიმართულება 1. თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნა და სწავლა-სწავლების ხარისხის უწყვეტი განვითარება

სტრატეგიული მიზანი 1.1 პროგრამებში თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების ინტეგრირება და უნივერსიტეტის პოზიციონირება, როგორც ტრანსფორმაციული განათლების მიმცემი ინსტიტუცია

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1.1.1 ახალი პროგრამების, მათ შორის, ერთობლივი ხარისხის ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება-დანერგვა, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება ინოვაციური მეთოდები და ტრანსფორმაციული განათლების ელემენტები.

1.1.2 არსებულ პროგრამებში ინოვაციური მეთოდები და ტრანსფორმაციული განათლების კომპონენტის გაძლიერება.

1.1.3 პროგრამებსა და სწავლა-სწავლების პროცესში ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოყენების განსაზღვრა/დანერგვა.

1.1.4 ინოვაციური უწყვეტი განათლების პროგრამების განვითარება ფართო საზოგადოებისათვის, განვითარების ტენდენციების საპასუხოდ.

1.1.5 უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო (საკვალიფიკაციო, სადიპლომო), პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება და განვითარება.

სტრატეგიული მიზანი 1.2 პროგრამების შინაარსისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაძლიერება ინტერნაციონალიზაციის გზით

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1.2.1 სისტემური გზით საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება პროგრამებში საუკეთესო პრაქტიკის თანმიმდევრული და სწრაფი ინტეგრირებისათვის. ეს ხელს შეუწყობს პროგრამებში დარგის მიმდინარე სიახლეების ასახვასა და პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო დონეზე არსებულ განვითარების ტენდენციებთან.

1.2.2 სტუდენტებისათვის ერთობლივი გაცვლითი პროგრამებისა და ონლაინ სასწავლო შესაძლებლობების შეთავაზება, ასევე, კროს-კულტურული სწავლების მეთოდების გამოყენება.

სტრატეგიული მიზანი 1.3 მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1.3.1 მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული საკითხების მეტი ინტეგრირება სასწავლო პროგრამებში;

1.3.2 სტუდენტებისათვის მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებული პრაქტიკული სასწავლო გამოცდილების შეთავაზება რეალურ სამყაროში;

1.3.3 არაფორმალური განათლების გზით მდგრადობის კონცეფციებისა და მდგრადი განვითარების 17 გლობალური მიზნის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

სტრატეგიული მიზანი 1.4 სტუდენტებისათვის სწავლის პროცესში მხარდამჭერი სერვისების ხარისხის ყოველწლიური გაუმჯობესება

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1.4.1 სტრუქტურირებული აკადემიური მხარდაჭერის სერვისების კონცეფციის განვითარება, არსებული სერვისების ეფექტურობის შეფასების საფუძველზე;

1.4.2 თანასწორებისაგან შემდგარ ჯგუფებში (ე.წ. peer groups) სწავლის პრაქტიკის დანერგვა;

1.4.3 რეგულარული სამუშაო შეხვედრების (ვორქშოფების) განხორციელება სტუდენტების კონკურენტული დასაქმების ბაზრისათვის მოსამზადებლად და მომავლისათვის საჭირო უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ციფრული წიგნიერება, ადაპტირების უნარი, ემოციური ინტელექტის განვითარება, ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოყენება სასწავლო პროცესში) განსავითარებლად.

პრიორიტეტული მიმართულება 2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება

სტრატეგიული მიზანი 2.1 გამორჩეული კვლევითი სივრცის შექმნა ბრწყინვალე კვლევების მდგრადი განვითარებისთვის

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანის გადაჭრას:

2.1.1 საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობისათვის ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერება, მაღალციტირებად უცხოელ მკვლევართა მოზიდვა და ჩართვა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კვლევებში.

- მაღალციტირებადი მკვლევრებისა და გამორჩეული ახალგაზრდა მეცნიერების კარიერული წინსვლის მექანიზმების შემუშავება და განვითარება კვლევითი პრიორიტეტების მხარდასაჭერად.
- საუნივერსიტეტო კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად მკვლევართა გუნდების ან/და სტრუქტურული ერთეულების ფორმირება.
- საუნივერსიტეტო კვლევითი პრიორიტეტების მხარდასაჭერად შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო დაფინანსებისა და თანადაფინანსების სისტემის და კვლევითი ინფრასტრუქტურის შექმნა/განვითარება.
- არსებული შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო დაფინანსებისა და თანადაფინანსების სისტემის შენარჩუნება და განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 2.2 ინტერდისციპლინური და ინტერსექტორული (სამთავრობო, ბიზნეს და აკადემიურ სექტორებს შორის) კვლევითი პარტნიორობის განვითარება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანის გადაჭრას:

2.2.1 შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო დაფინანსებისა და თანადაფინანსების სისტემის შექმნა ინტერდისციპლინური და ინტერსექტორული კვლევითი პროექტების განსავითარებლად.

- სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა.

სტრატეგიული მიზანი 2.3 სადოქტორო კვლევების მხარდაჭერა და განვითარება უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებთან მიმართებით

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

2.3.1 კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისი ერთობლივი სადოქტორო პროგრამების ან/და დისერტაციების თანახელმძღვანელობის განვითარება წამყვან უცხოურ უნივერსიტეტებთან.

2.3.2 სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების კარიერული წინსვლის მხარდაჭერა კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად.

- სადოქტორო პროგრამების სტრუქტურირება უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად.

სტრატეგიული მიზანი 2.4 წვლილის შეტანა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესში კვლევისა და ინოვაციის კულტურის განვითარების, ახალი ცოდნის გავრცელებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გაღრმავების საფუძველზე

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანის გადაჭრას:

2.4.1 მეცნიერების პოპულარიზაციის მხარდამჭერი მექანიზმების განვითარება ფართო საზოგადოებაში.

პრიორიტეტული მიმართულება 3. მდგრადი განვითარების მიზნების მხარდაჭერა უნივერსიტეტის "მესამე მისიის" ფარგლებში

სტრატეგიული მიზანი 3.1 უნივერსიტეტში დაგროვილი ცოდნის გამოყენებით საზოგადოების, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა რეალური გამოწვევების გადასაჭრელად

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

3.1.1 კროსფაკულტეტური ჩართულობით ბიზნეს ინკუბატორის აქტივობების განხორციელება და მეწარმეობაზე დაფუძნებული სწავლების განვითარება

3.1.2 ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების შექმნა მოწყვლადი ჯგუფებისა და საზოგადოების ფართო წრეებისათვის

3.1.3 საკანონმდებლო ბაზის/ეროვნულ დონეზე მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა

3.1.4 ფართო საზოგადოებისათვის უნივერსიტეტის სივრცეში დაგროვილი ცოდნისა და პრაქტიკის გაზიარება (მათ შორის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიმართულებით)

პრიორიტეტული მიმართულება 4. ინსტიტუციური განვითარება უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის სამი ძირითადი საყრდენი მიმართულების ეფექტურად განხორციელებისათვის

სტრატეგიული მიზანი 4.1 ხარისხის მართვაში განვითარებაზე ორიენტირებული მიმართულების გაძლიერება

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანების/აქტივობის გადაჭრას:

4.1.1 ინოვაციური პრაქტიკების აღიარებისა და წახალისების მექანიზმების შექმნა

4.1.2 ხარისხის განვითარების პროცესში სტუდენტების ჩართულობისათვის მეტი შესაძლებლობების შეთავაზება, პროგრამების წარმომადგენელთა პრაქტიკის დანერგვის გზით

4.1.3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის ონლაინ სისტემის დანერგვა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი

4.1.4 სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის ონლაინ სისტემის მეშვეობით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესის განხორციელება და ანგარიშის მომზადება

სტრატეგიული მიზანი 4.2 ადამიანური რესურსების განვითარება

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

4.2.1 პერსონალის უწყვეტი განვითარების, მათი შეკავშირებისა და საერთო მიზანზე ფოკუსირების ხელშეწყობა. ასევე, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სტრუქტურული პროგრამების შემუშავება და კარიერული ზრდის მხარდაჭერა;

4.2.2 ინტერნაციონალიზაცია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დონეზე და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის (მიდგომებისა და მეთოდოლოგიების) შესწავლა და თანმიმდევრული დანერგვა ორგანიზაციული მართვის პროცესში

4.2.3 აკადემიური პერსონალისთვის წახალისების სისტემის განვითარება სწავლა-სწავლების, კვლევისა და საზოგადოებაში კონტრიბუციის შედეგების გათვალისწინებით და ამ სისტემის დანერგვა

სტრატეგიული მიზანი 4.3 მხარდაჭერის სერვისების გაძლიერება სტუდენტებისათვის

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

4.3.1 სტუდენტებისათვის კარიერული მხარდაჭერის სერვისის გაძლიერება და დამსაქმებელთა ქსელის გაფართოება;

4.3.2 სტუდენტთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა როგორც სასწავლო პროცესში ჩართულობის, ასევე იურიდიული კონსულტაციების მიმართულებით მხარდაჭერის გზით

4.3.3 საერთაშორისო სტუდენტების უნივერსიტეტში და ქვეყნის სოციუმში ადაპტირების ხელშეწყობა, ინტერკულტურული დიალოგის მხარდაჭერა;

4.3.4 უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებში და ასოციაციებში გაწევრიანების მხარდაჭერა და შესაბამის აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიზანი 4.4 კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარება

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

4.4.1 უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის კარიერული და აკადემიური მხარდაჭერის სერვისის გაძლიერება და დამსაქმებელთა ქსელის გაფართოება;

4.4.2 კურსდამთავრებულთა ქსელთან თანამშრომლობა ინსტიტუციური განვითარებისათვის.

სტრატეგიული მიზანი 4.5 სასწავლო და სამუშაო გარემოს ეტაპობრივი განახლება და მოდერნიზაცია

ეს გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

4.5.1 დამატებითი ინოვაციური სასწავლო სივრცეების მოწყობა;

4.5.2 მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება;

4.5.3 უნივერსიტეტის დამატებითი კორპუსის მშენებლობა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის განვითარება.

4.5.4 ეკო-კულტურის მხარდაჭერა, ეკო-მეგობრული სივრცეებისა და მწვანე დიზაინის ელემენტების ინტეგრაცია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაში